ახალი

ჯანთიადი

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული„

2018 წელი 30 ოქტომბერი № 10 № 8139

ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com

უცხოელები ალფრთოვანებულნი არიან ქართული ცხოვრების წესით, ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობით, ტრადიციებით, ქართველთა შინაგანი კულტურით, საქართველოში მოგზაურობის დროს მიღებული შთაბეჭდილებებით ისინი საქებარ სიტყვებს არ იშურებენ.

ფრიდრიხ ბოდენშტედტი: ქართველები-კოლხები, კახელები, იმერლები, გურულნი, მეგრელნი, სვანები და სხვანი ერთ მშობლიურ ენაზე-ქართულად მეტყველებენ დასაბამიდან და ეს იყო მათი ენა აყვავების ხანაშიც, როცა კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე, თერგიდან არაქსამდე მეფობდნენ.

შარდენის აზრით, ქართველები მთელს აღმოსავლეთში და, შეიძლება ითქვას, მთელ მსოფლიოში საუცხოო ჯიშის ხალხია. ამ ქვეყანაში მე არ შემხვედრია უშნო ადამიანი, კაცი იქნება ეს თუ ქალი, ვხვდებოდი მხოლოდ და მხოლოდ ანგელოზისებრ სახეებს. ქალების უმეტესობა ბუნებას ისეთი სინატიფით დაუჯილდოებია, როგორსაც ვერსად შეხვდებით. ვფიქრობ, შეუძლებელია მათ თვალი მოჰკრათ და არ შეგიყვარდეთ, ქართველ ქალზე უფრო მშვენიერი სახისა და ტანის დახატვაც კი შეუძლებელია.

„მშობელ მიწაში მიდგას ფესვები„

გვ3.

ყანჩობა _ 2018

გვ3.

გვ4.

გვ3.

ქართლური ტრადიციული სიმღერისა და გალობის ფესტივალი

ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი„ კასპში

გვ9.

ვიმეგობროთ ჩიცა მშობლებს ან სცალოთ

გვ5.

სიახლეები კასპში - განათლება, დასაქმება, ინოვაცია

გვ2.

მასწავლებელთა განვითარების სქემა — რეფორმის ერთ-ერთი დადებითი მხარე

გვ5.

გოჩა თათრიშვილის სახელობის მემორიალური ტურნირი



გვ8.

ანსამბლის ფოტო-ისტორია

გვ5.

ფეხბურთის სტადიონის მშენებლობა დაიწყო

გვ2.

ომარ კელაპტრიშვილი:

„ამ ქვეყანაში რა მოიტყუებ, ჭკვაც ყი ალოერსითი მიდგერებს„

გვ6-7.

ამაგდარი მამულიშვილი ივანე ბოჯორიძე — 100

გვ8.

ქალაქის ქუჩების კეთილმოწყობა გრძელდება

გვ9.

86 წელი თქვენთან ერთად!

თუ თლობთ ცანცერერდა ლა მნიშვნელოვან მცცალა გზეთიან ინფორმაციალან გამოგვიგზავნეთ.

87-ე წელია ჩვენი გზეთი იწერს, ეგრეოვებს, ინახავს რეალობის ინფორმაციას, ბერეს ეს უნდა ყოთილა ერერთა, ჭმნა ჩვენი ცხოვრების შეფლამეზებელი მეფიანენ

გამოიწერეთ "ახალი განთიადი" ლა გახდით ჩვენი მეითხველი!

სიახლეები კასპში - განათლება, დასაქმება, ინოვაცია

კასპის მუნიციპალიტეტში გაიმართა საქართველოს პროფესიული განათლებისა და ინოვაციების სააგენტოს (ტექნოპარკის) მშენებლობის პრეზენტაცია.

კასპში ტექნოპარკის ასათვისებელი სივრცე და 200 სტუდენტზე გათვლილი პროფესიული კოლეჯის მიმდინარე მშენებლობა დაათვალიერეს საქართველოს ვიცე-პრემიერმა, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა მაია ცქიტიშვილმა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი ქობულიამ, კასპის მაჟორიტარმა დეპუტატმა საქართველოს პარლამენტში ირაკლი მეზურნიშვილმა, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ხელმძღვანელმა ავთანდილ კასრაძემ, შიდა ქართლის გუბერნატორმა გიორგი ხოჯევანიშვილმა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგებლებმა, რეგიონის ახალგაზრდებმა.

პროფესიული კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამები რეგიონში მოთხოვნად პროფესიებს დაეფუძნება.

- სასწავლებელი ორიენტირებული იქნება ახალი ტექნოლოგიების გამოყენებაზე. დარწმუნებული ვარ, რეგიონში ჩვენ გვაქვს ძალიან დიდი პოტენციალი რომ განვავითაროთ ინოვაციური სფერო. ეს არის სფერო, რომელიც მოგვცემს შესაძლებლობას ძალიან მალე დავძლიოთ და შევამციროთ უმუშევრობის დაუძლეველი პრობლემა. განსაკუთრებით ახალგაზრდების დასაქმება ხდება ქმედითი და

მნიშვნელოვანი. მიხარია რომ ასეთი პლატფორმა იქმნება კასპში და მე ამის მონაწილე ვარ - აღნიშნა კასპის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი მეზურნიშვილმა.

სტუმრებმა დაათვალიერეს 650 მოსწავლეზე გათვლილი ახლად გახსნილი ქალაქის №1 საჯარო სკოლა, რომელიც თანამედროვე სტანდარტებითაა აშენებული.

ПРЕЗЕНТАЦИЯ

ფეხბურთის სტადიონის მშენებლობა დაიწყო

კასპის სტადიონი საერთაშორისო სტანდარტების სრული დაცვით აშენდება. ფეხბურთის ფედერაციის დაფინანსებით უმაღლესი ხარისხის ხელოვნურსაფარიანი მოედანი დაიგება. ადგილობრივი მუნიციპალიტეტის სრული დაფინანსებით კი, მოეწყობა 520 მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნა, 4 გასახდელი, სამსაჯო, სამედიცინო და დელეგატის ოთახები. ამასთან ერთად, სტადიონზე განათების თანამედროვე სისტემა დამონტაჟდება.

- ჩემთვის დიდი პატივია აქ ყოფნა. ამ ტერიტორიაზე ცენტრალურ სტადიონთან ერთად მოეწყობა მინიმოედანი, რომელიც ხელს შეუწყობს, არა მხოლოდ ქალაქ კასპში, არამედ მთელს რეგიონში ფეხბურთის განვითარებას. ვიცით, რომ აქ ბევრი ბავშვია, ვისაც სურს ფეხბურთის თამაში და ჩვენი მიზანი სწორედ ამ სურვილის ხელშეწყობაა. რა თქმა უნდა, ვისურვებდი, რომ აქ მოთამაშე ბავშვებს ეროვნული ნაკრების დონეზე ეთამაშოთ, თუმცა მთავარია, რომ ჩვენ ხელი შევუწყოთ ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

ფეხბურთის ფედერაციის მთავარი პრიორიტეტი სწორედ ესაა. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერის გარეშე, მხოლოდ ფეხბურთის ფედერაცია ამ სტადიონის აშენებას ვერ შეძლებდა, აქედან გამომდინარე მსურს ყველას მადლობა გადავუხადო - აღნიშნა ლევან კობიაშვილმა.

სტადიონის მშენებლობის დაწყების გამოცხადების ოფიციალურ ცერემონიას ესწრებოდნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი, პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ ყაველაშვილი, კასპის მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში ირაკლი მეზურნიშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. მათ შეხვედრაზე ფეხბურთის განვითარებასა და რეგიონში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაში აღნიშნული პროექტის როლზე ისაუბრეს.

კასპში საერთაშორისო სტანდარტების საფეხბურთო სტადიონის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი - ეს კი ახალ პერსპექტივას უსახავს აქაურ ახალგაზრდებს.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

კასპობა _ 2018

ტრადიციული დღესასწაული "კასპობა" ყოველწლიურად იმართება ჩვენს ქალაქში, მას მოუთმენლად ელოდებიან აქაურები და არა მხოლოდ ისინი. ასე იყო წელსაც, 21 ოქტომბერს უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი კასპის ცენტრში, ქალაქის შემოგარენი სავსე იყო სტუმრებით, განსაკუთრებით სჭარბობდნენ ახალგაზრდები, ბავშვები.

ყველას ხიბლავდა კულტურის ცენტრის წინ საგანგებოდ მოწყობილი სცენა, რომელსაც ამშვენებდა გრიფონის გამოსახულებიანი ვეებერთელა ბანერი წარწერით: "გილოცავთ კასპობის დღესასწაულს"...

ხილითა და ბოსტნეულით მორთული იმიტირებული "ქართული სოფლები" ხიბლავდათ ქალაქობის სტუმრებს, მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოდგენილი ჰქონდა საშემოდგომო ლამაზი კუთხე...

კასპობის დღესასწაულზე წარმოდგენილი იყვნენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სააქციო საზოგადოებები, ინდმეწარმეები, მათ საჩვენებლად გამოფინეს საკუთარი პროდუქცია.

დილაადრიან გამოჩნდა ლამაზად, საღღესასწაულოდ დამშვენებული ფაეტონი, ცხენების ფლოქვების თქარათქური ქალაქის ქუჩების კუთხე-კუნჭულში აღწევდა... პატარების დაუსრულებელი რიგი იდგა გასართობ ატრაქციონებთან, სასრიალოებთან და საქანელებთან.

ბავშვებს ახალისებდნენ მოედნის ირგვლივ მოსეირნე ბავშვების საყვარელი ზღაპრების პერსონაჟები, რომლებთანაც სამახსოვრო ფოტოებს იღებდნენ ქალაქობის მონაწილე ახალგაზრდები.

ყურადღებას იპყრობდა რამდენიმე ადგილზე განთავსებული შთამბეჭდავი და საინტერესო ფერწერული ტილოები, თექით შესრულებული პეიზაჟები, ხელნაკეთი ნივთებისა და აქსესუარების, წნულების გამოფენა-გაყიდვები.

უამრავი მაყურებელი ჰყავდა ქალაქობის სპორტულ სანახაობებს, განსაკუთრებით ქართულ ჭიდაობას.

დღესასწაული სტუმრებს მიულოცეს კასპის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი მეზურნიშვილმა, კასპის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ თამაზ ტატანაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ დავით ლეონიძემ, კულტურის სამსახურის ხელმძღვანელმა თეა ხორბალაძემ...

სადღესასწაულო გალა-კონცერტზე სპეციალურად მოწვეული იყვნენ ქართული ესტრადის ცნობილი სახეები, გიორგი სუხიტაშვილი, ოთო ნემსაძე, ჯგუფი 1/4 და ლინდა ადამია, პროექტ "ნიჭიერის" ფინალისტები და ნახევარფინალისტები რომელთაც მაყურებელი ოვაციებითა და აპლოდისმენტებით შეხვდა.

კონცერტში, რა თქმა უნდა, მონაწილეობდნენ ადგილობრივი ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლები, ინდივიდუალური შემსრულებლები და მომღერლები: ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი "მოურავი", ქორეოგრაფიული ანსამბლები: "რკონი", "იმედი", ცეკვის აკადემია "დიდგორი", "ქართლი", "სხვილო", "მეტეხი", "ტარიელი", "კავთურა", ხოვლის სასოფლო კლუბთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი, აღაიანის სასოფლო კლუბთან არსებული ხალხურ საკრავთა ანსამბლი "თხოთი", საესტრადო სიმღერების ინდივიდუალური შემსრულებლები ნინო ხუციშვილი და რევაზ კერესელიძე, თათია მეშველაშვილი, ირაკლი ქებაძე, გიორგი მორბედაძე, მიშო ჟივიძე, აჩი მიგრიაული, მღეროდა დუეტი /ზაზა მენაბდიშვილისა და გიორგი ჯავახიშვილის შემადგენლობით/.

კონცერტის მსვლელობისას კასპის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების გასული სასწავლო წლის კურსდამთავრებულ ოქროსა და ვერცხლის მედალოსნებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ საპატიო სიგელები და ფულადი ჯილდოები. დასახელებულთა შორის არიან: ნინო გაზაშვილი /ახალქალაქის საჯარო სკოლა, ვერცხლის მედალოსანი/, ვერიკო კავთიაშვილი, /ახალქალაქის საჯარო სკოლა, ოქროს მედალოსანი/, ნინო მამასახლისი, ახალქალაქის საჯარო სკოლა, ვერცხლის მედალოსანი/, ქეთი მჭედლიშვილი /ახალქალაქის საჯარო სკოლა, ოქროს მედალოსანი/, მარია კახიშვილი /ზემო ხანდაკის საჯარო სკოლა, ვერცხლის მედალოსანი/, გიორგი ქამხაძე, /ზემო ხანდაკის საჯარო სკოლა, ვერცხლის მედალოსანი/, გიგა ბერიანიძე, /ოკმის საჯარო სკოლა, ვერცხლის მედალოსანი/, ალეკო წიკლაური, /ოკმის საჯარო სკოლა, ვერცხლის მედალოსანი/, თათია რევაზიშვილი /ქვემო გომის საჯარო სკოლა, ოქროს მედალოსანი/, ნოდარ მაყიშვილი /ქვემო ჭალის საჯარო სკოლა, ვერცხლის მედალოსანი/, ანი ბერიძე /კასპის პირველი საჯარო სკოლა, ვერცხლის მედალოსანი/, მიხეილ ელკანოვი /კასპის პირველი საჯარო სკოლა, ოქროს მედალოსანი /, დავით სტეფნაძე /კასპის პირველი საჯარო სკოლა, ოქროს მედალოსანი/, თამუნა ქოთოლაშვილი /კასპის მესამე საჯარო სკოლა, ვერცხლის მედალოსანი, ასპროცენტიანი დაფინანსება/, თეონა მიქელაძე, კასპის მესამე საჯარო სკოლა, მიიღო ასპროცენტიანი დაფინანსება/, ანი ბუნტური /შპს "ბესიკ ნიპარიშვილი, მრავალპროფილიანი სკოლა-გიმნაზია, მიიღო ასპროცენტიანი დაფინანსება/.

ქალაქობის დღესასწაული გვიან ღამემდე გაგრძელდა, ელექტრონული მუსიკის მოყვარულ ახალგაზრდებს არ ეთმობოდათ მოედნის დატოვება... კონცერტს უძღვებოდნენ ქალაქის კულტურის ცენტრის დირექტორი თათია თათრიშვილი და კულტურის დაწესებულებების გაერთიანების სპეციალისტი გიორგი მჭედლიშვილი. საზეიმო დღესასწაული დასრულდა გრანდიოზული ფოიერვერკით.

ქალაქის მომავალ დღესასწაულამდე კასპელებო!

ქართული ტრადიციული სიმღერისა და გალობის ფესტივალი

წინასიტყვაობის მაგიერ

ქართულ ხალხურ სიმღერებს უხსოვარი დროიდან მრავალხმიანობა ახასიათებდათ. მრავალხმიანობა, ანუ პოლიფონიურობა, კი უნიკალურ მოვლენად ითვლება და მსოფლიოს ხალხთა შორის ერთეულები თუ დაიტრაბახებენ ასეთი სიმდიდრით. ქართული მრავალხმიანობა მათ შორისაც სრულიად განსაკუთრებულია, განსხვავებული და მრავალფეროვანი. საქართველოს ყველა კუთხეს თავისებური მუსიკალური დიალექტი აქვს, ასეთი დიალექტები 15-მდე აღწევს.

ქართული ხალხური სიმღერები ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნიან ჩვენს წინაპართა ადათებსა და ცხოვრების წესზე. ამდენად, ქართულ ხალხურ სიმღერას ისტორიული მნიშვნელობაც აქვს. ჩვენს სოფლებში დღესაც შეიძლება მოისმინოთ უძველესი შელოცვები, ამინდის ღვთაების საგალობლები, მზის სადიდებელი ჰიმნი, სამკურნალო საევდრებელნი და სხვა. მათი შესწავლა საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ, როგორ მღეროდნენ ჩვენი წინაპრები 2-3 ათასი წლის წინ.

უძველესი სიმღერები მრავალხმიანია და გუნდურად სრულდება, რაც ქართული ხალხური მუსიკის ყველაზე უფრო დამახასიათებელი და გამორჩეული მხარეა.

ჩვენი წინაპრები მღეროდნენ ომის, შრომის, ავადმყოფობის, მხიარულების, მწუხარების დროს. სიმღერა სწორედ ის ძალა იყო, რომელიც გაჭირვებაში მხნეობასა და სიმტკიცეს მატებდა. ამიტომაც უფრთხილდებოდა ქართველი კაცი თავის მრავალსაუკუნოვან მუსიკალურ ენას.

✦ მიმდინარე წლის 13-14 ოქტომბერს სამთავისში ჩატარდა ქართლური ტრადიციული სიმღერისა და გალობის ფესტივალი, რომლის ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი, კასპის მუნიციპალიტეტის მერია, განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური, მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება, კასპის სალოტბარო სკოლა, სახელოვნებო სკოლის მოსწავლეები და მოსწავლე-ახალგაზრდობის სკოლის ბავშვები. ღონისძიება ჩატარდა სამთავისისა და კასპის ეპარქიის ეპისკოპოსის, მეუფე დამიანეს ლოცვა-კურთხევით. ფესტივალი მიზნად ისახავდა ქართლური ტრადიციული სიმღერისა და გალობის პოპულარიზაციას და განვითარებას... საფესტივალოდ მორთულ ტაძრის ეზოში დილაადრიან მოვიდნენ ღონისძიების ორგანიზატორები, სიმღერისა და გალობის შემსრულებლები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, კახეთიდან, დასავლეთ საქართველოდან, სვანეთიდან, თბილისიდან და რა თქმა უნდა, ქართლიდან... აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ პოლიფონიით



უმდიდრესი კასპის რაიონი ყოველთვის ამაყობდა, თავს იწონებდა ქართული ფოლკლორის, სიმღერისა და გალობის კორიფეებით, საქვეყნოდ აღიარებული კავსაძეებით, თარხნიშვილებით, კარგარეთელებით, ძმები კარბელაშვილებით და სხვა ცნობილი სახეებით, ამიტომაც შემთხვევითი არ გახლავთ ის ფაქტი, რომ წელს ეს მასშტაბური, ორდღიანი ფესტივალი სწორედ ქართლში, თანაც სამთავისში გაიმართა...

ფესტივალის სტუმრებს მიესალმნენ კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ლეონიძე, კასპის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი მეზურნიშვილი, მერიის კულტურის სამსახურის ხელმძღვანელი თეა ხორბალაძე... პირველ დღეს გამართულ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: კასპის, გორის, ბორჯომის, საჩხერისა და ზესტაფონის სალოტბარო სკოლები, აგრეთვე, კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სკოლის გუნდები.

— შთამბეჭდავი, ამავე დროს ძალზედ სიმბოლური გახლდათ ტაძარში გაჟღერებული კარბელაშვილისეული ქართული საგალობლები, დღემდე მსგავსი მასშტაბური მუსიკალური ღონისძიება ჩვენს რაიონში კი არა, რეგიონშიც არ გამართულა. ეს გახლდათ კასპის მუნიციპალიტეტის მერიის, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის და კასპის სალოტბარო სკოლის ერთობლივი ინიციატივა, — განმარტავს ფესტივალის მუსიკალური ხელმძღვანელი ზაზა მენაბდიშვილი, — დებულების თანახმად, მონაწილეებმა წარმოადგინეს თითო ქართლური სიმღერა და რასაკვირველია, თავთავიანთი კუთხის ფოლკლორული ნიმუშები.

ძალიან საინტერესო, სანახაობრივად ლამაზი იყო ფესტივალის მეორე დღე, მოგეხსენებათ, წინა დღეს კონცერტში მონაწილე ბავშვებმა ესტაფეტა დაუთმეს უფროსი თაობის მგალობლებსა და მომღერლებს... ტაძრის ეზოში ლამაზად მოწყობილ სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ფოლკლორული ანსამბლები: კასპელთათვის კარგად ცნობილი სახალხო ფოლკლორული ანსამბლი "ქართლი", კასპის მუნიციპალიტეტთან არსებული ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი "მოურავი", კასპის წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდი, კახეთიდან "პატარა კახი", წყალტუბოდან "ნადური", ლენტეხიდან "ლაგუშედა", ქარელიდან "ქარელი", თბილისის კონსერვატორიის ფოლკლორული ანსამბლი, ანსამბლები: "მჭელი",



"ნანინა", "აღსავალი", "ფესვები", "დეკა", ქვემოჭალელთა "საამილახვრო"... ფესტივალის ბოლო აკორდი გახლდათ ტაძრის ეზოში, ღია ცის ქვეშ აგუგუნებული ქართველთა საამაყო მრავალჟამიერი, რომელსაც ასრულებდა ფესტივალის ყველა მომღერალი და მგალობელი და არა მხოლოდ ისინი.

ფესტივალის ორივე დღეს საგალობლებს კოორდინირებდა და კონცერტს უძღვებოდა კასპის სალოტბარო სკოლის რეგენტი ეკა ყაზარაშვილი, რომელმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ღონისძიების ორგანიზებაში.

როგორც პირველ დღეს, ასევე, მეორე დღეს კონცერტში მონაწილე ანსამბლები და მათი ხელმძღვანელები დაჯილდოვდნენ საპატიო სიგელებით და სამახსოვრო საჩუქრებით. ფესტივალს სტუმრობდნენ კონსერვატორიის ფოლკლორის კათედრის გამგე, პროფესორი ნატალია ზუმბაძე, აგრეთვე, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის წარმომადგენლები: მიხეილ ჯავახიშვილი, ზურაბ ხვედელიძე, ზურაბ გუგუშვილი, თეა კასაბური. ფესტივალში მონაწილე ანსამბლებმა, დედაქალაქიდან მოწვეულმა სტუმრებმა მასპინძლობისა და ღონისძიებების ორგანიზებულად ჩატარებისათვის გამოჩენილი ყურადღებისა და გულისხმიერებისათვის მადლობა გადაუხადეს მასპინძლებს: კასპის მუნიციპალიტეტის მერს მანუჩარ მერებაშვილს, მერის მოადგილეს თამაზ ტატანაშვილს, მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლებისა და სპორტის სამსახურის უფროსს თეა ხორბალაძეს, კულტურის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორს მიხეილ ქოსაშვილს და სხვებს...

როგორც ღონისძიების ორგანიზატორებმა განაცხადეს ქართლური სიმღერისა და გალობის ფესტივალი ტრადიციული გახდება და ამიერიდან იგი ყოველი წლის შემოდგომაზე გაიმართება.

ანსამბლის ფოტო-ისტორია

დავით ჯავრიშვილის სახელობის კასპის მუნიციპალიტეტის ბავშვთა სახალხო-სანიმუშო ცეკვის აკადემია "დიდგორი" 1983 წლის გაზაფხულზე დაარსდა. ამდენად, ეს ოცდათხუთმეტწლიანი სახელოვანი ქორეოგრაფიული კოლექტივი ამდიდრებს და ალამაზებს ჩვენი რაიონის კულტურულ ცხოვრებას. ანსამბლ "დიდგორის" იუბილეს მიეძღვნა ახლახან გამოცემული ოცდაოთხგვერდიანი ილუსტრირებული ჟურნალი სახელწოდებით "დიდგორი" 35 წელი სცენაზე. გამოცემა ნათლად ასახავს შემოქმედებითი კოლექტივის ცხოვრებას.

— იუბილისადმი მიძღვნილი ჟურნალის გამოცემა მოცეკვავეებთან და მშობლებთან ერთად დაიგეგმა, — აცხადებს ქორეოგრაფიული ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი ქეთევან მონასელიძე, — გვსურდა ჩვენი მოცეკვავეების შემოქმედების, მათი საგასტროლო მოგზაურობის და მიღწეული შედეგების ამსახველი ფოტო-ისტორია მიმზიდველი და შთამბეჭდავი ყოფილიყო.

მართლაც, ეს მშვენიერი და ტექნიკურად მაღალ დონეზე შესრულებული ჟურნალი ბევრის ყურადღებას მიიპყრობს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი და საგულისხმოა, ცეკვის აკადემია "დიდგორი" ერთხელ კიდევ შეახსენებს ჩვენს საზოგადოებას, რომ მოცეკვავეები აქ მარტო ცეკვას კი არა, სამშობლოს სიყვარულს სწავლობენ, ქართული კულტურისა და ხელოვნების მდიდარ ტრადიციებს ეცნობიან, იზიარებენ და უფრთხილდებიან.

მასწავლებელთა განვითარების სქემა — რეფორმის ერთ-ერთი დადებითი მხარე

"ღირსება და სიკეთე ხალხისგან ცნობილის და აღიარებულის, თუნდაც უბრალო ადამიანის, თესავს ხალხში სიყვარულის თესლს... მარტო სიყვარულით აღსავსე ხალხია საიმედო ყოველს განსაცდელში, რაც კი ადამიანს შეემთხვევა ხოლმე, მხოლოდ სიყვარულით გულგამთბარ ადამიანებს შეუძლიათ სიცოცხლისა და ქონების გაწირვა საზოგადო საქმისათვის"...

ილია.

სიცოცხლე და ქონება არ გაუწირავს, მაგრამ სიკეთის, შემართებისა და სიყვარულის საუკეთესო მაგალითი აჩვენა ხოვლელმა პედაგოგმა ციური ედიშერაშვილმა. მის თავდადებასა და მოხერხებულობაზე, პროფესიული საქმისადმი უდიდეს სიყვარულზე მარტო მშობლიურ სოფელსა და სკოლაში კი არა, მთელ მუნიციპალიტეტში და წარმოიდგინეთ, განათლების სამინისტროშიც კარგად იციან... საქმე ის გახლავთ, რომ წლების წინ, როდესაც მუნიციპალიტეტში სკოლების მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის ფართომასშტაბიანი სამუშაოები დაიწყო, ამ "ფუფუნებაზე" ხოვლელებს დელიკატური უარი უთხრეს, მეტიც, ხოვლეში ახალი სკოლის მშენებლობა შორეული ოცნების საგნად მიიჩნიეს.

არადა, სკოლის იმჟამინდელი /1994-2015/ დირექტორი ციური ედიშერაშვილი არ შეეპუა ამ უპერსპექტივო გადაწყვეტილებას, რომ იტყვიან, რკინის ქალამნები ჩაიცვა, ცა და ქვეყანა შეაჯერა, ერთხელ კი არა, "ათიათასჯერ" მოუხდა იქ მისვლა, სადაც ჯერ არს... ერთი სიტყვით, არ დარჩენილა განათლების სისტემასა თუ ქვეყნის სამთავრობო უწყებებში უცნობ-ნაცნობი, რომლისთვისაც დახმარებისთვის არ მიემართოს... ბოლოს და ბოლოს, დირექტორის "კატეგორიული" მოთხოვნა, დაჟინებული ხვეწნა-მუდარა ყურად იღო მთავრობამ და როგორც იქნა "გამოიძებნა" გზა, რესურსი, სოფელში დაიწყო ახალი სკოლის მშენებლობა.

ამ დრამატული თავგადასავლის ბრწყინვალე ფინალი გახლდათ 2013 წლის 16 სექტემბერი, როდესაც ხოვლეში ოფიციალურად გაიხსნა თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი, ორსართულიანი კეთილმოწყობილი სკოლა და სწორედ იმ დღეს, საზეიმო გახსნის ცერემონიალზე სიტყვით გამოსვლისას სსიპ საგანმანათლებლო და სამედიცინო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელმა მერაბ ჭონიაშვილმა სკოლის მოსწავლეებს, მათ მშობლებს და არა მხოლოდ მათ სიამაყით აუწყა: რომ არა სკოლის დირექტორის ქალბატონ ცისანა ედიშერაშვილის არნახული აქტიურობა, თავდადება და პროფესიისადმი უდიდესი სიყვარული, შესაძლოა ხოვლეში ახალი სკოლის მშენებლობა კიდევ რამდენიმე წლით გადავადებულიყოო...

— სკოლამ, ბავშვებთან მუშაობის ოცდაერთწლიანმა გამოცდილებამ ბევრ რამეზე დამაფიქრა, იმაშიც დავრწმუნდი, თურმე, რა დიდი მნიშვნელობა აქვს პირად ინიციატივასა და მცდელობას, გამბედაობას, — საუბრობს ახლა უკვე ხოვლის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებელი ციური ედიშერაშვილი, — ბედნიერი ვარ, რომ ჩემი დირექტორობის დროს გაიხსნა ახალი სკოლა... დღეს ურთულეს ეპოქაში გვიწევს ცხოვრება და მართალი გითხრათ, მარტივი არ გახლავთ ადვილად აუწყო ფეხი განათლების სისტემაში ამჟამად მიმდინარე გამოწვევებს, თუმცა, ვცდილობ ჩართული ვიყო ამ პროცესებში. განათლების სისტემაში რეფორმის დადებით მხარედ მიმაჩნია მასწავლებელთა განვითარების სქემა, აგრეთვე, საგნობრივი და პროფესიული ტრენინგების გავლა. სხვათა შორის, რეფორმებსა და სიახლეებს ცალკეული ხარვეზებიც ახლავს, ავიღოთ თუნდაც სასკოლო ასაკის განსაზღვრა, რატომღაც მგონია, რომ ეს საკითხი გადასახედია, რასაკვირველია, ეს ჩემი პირადი მოსაზრება გახლავთ, მაგრამ რეალურმა ვითარებამაც ნათლად გვაჩვენა, რომ 5-10 დღის გამო პირველ კლასში მისაღები ბავშვები სკოლის გარეშე რჩებიან. ისე, ზოგადად ძალიან დადებითად ვარ განწყობილი, ერთი რამის კი, უდავოდ მჯერა, მომავალი ჩვენს ხელშია, მთავარია, შრომისა და ცოდნის მიღების დაუოკებელი სურვილი.

აი, ასეთი სულისკვეთებით შეხვდა ახალ 2018-2019 სასწავლო წელს ხოვლის საჯარო სკოლის მასწავლებელი ციური ედიშერაშვილი, რომელიც თავს იწონებს თავის სადამრიგებლო მერვე კლასითაც... მისივე აზრით, საჯარო სკოლებში თანამედროვე სწავლების დანერგვა ხელს შეუწყობს მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას.

რუსუდან ხეჩუაშვილი.

წიგნი გამორჩეული...

ნინი წერეთელი მაშინაც ჩემი ანგელოზი იყო, როცა ამ სამყაროს ამშვენებდა...

ვერასდროს წარმომედგინა, როგორ მოვიდოდა სიკვდილი ჩემთან, ახლა კი გულზე სამუდამოდ დასმული დაღი, ჩემი ყველაზე ღია ჭრილობა, ნინიკოს არყოფნა მახსენებს ჩემს სიკვდილს...

წიგნი წავიკითხეთ, კიდეც ვიტირეთ, ამის შემდეგაც წაიკითხავენ და ალბათ იტირებენ, ცხოვრება კი გაგრძელდება. რამდენჯერაც წიგნს გადაშლიან ნინი იმდენჯერ გაცოცხლდება, გვერდით მოგვიჯდება და საკუთარ თავთან ბრძოლის დროს მარტო არ დაგტოვებს. თავად "გამორჩეულს" კი ხშირად ხელში ჭერისგან გვერდები აექერცლება, ყდა შეელახება და მაინც იმაზე დიდხანს იცოცხლებს, ვიდრე ჩვენ... მთელი ჯადოქრობაც სწორედ ისაა, რომ ის შეძლებს აცოცხლოს გოგო, რომელიც სამყაროს სჭირდებოდა.

წიგნის უკანასკნელ ტაეპებს დიდი გაგრძელება აქვს. სათქმელი კიდევ ძალიან ბევრია, მაგრამ დასასრულთან მიახლოება ყველაფერს აჩქარებს. წლებით ნაშენები ერთ წამში უმოწყალოდ ინგრევა, ალბათ დასასრულიც სწორედ ესაა. თავზე დამტყდარ დარდის ოკეანეს თან მიაქვს ყველა იმედი და იცი, რომ არასდროს არაფერი ისე აღარ იქნება... უფრო ზუსტად — საერთოდ აღარაფერი იქნება....

გაგრძელებაც და დასასრულიც თქვენთვის მომინდვია. ერთი კი ვიცი ის რომ ყოფილიყო, გვთხოვდა ერთმანეთს გავფრთხილებოდით და ისე გვეცხოვრა, თითქოს ეს დღე ბოლოა...

სამყარომ კიდევ ერთი წელი აითვალა იმ გოგოს გარეშე, ყველაფრის გაფერადება რომ უნდოდა...

ანასტასია ბუნტური.

ვიმეგობროთ ჩიცა მშობლებს ან სცალიათ

კარგა ხანია ვკდილობთ თქვენთვის საინტერესო თემებზე გესაუბროთ, უფრო სწორად, ისეთ რამეებზე და ისეთ ვინმეებზე, რომელთა შესახებ მშობლებს ეზარებათ (ან არ სცალიათ!) რომ გიამბონ. თქვენ ახლა უფრო ბევრი იცით ვიდრე შარშან და თუ ხშირად წაიკითხავთ ჩვენს გაზეთს, მართლაც, ბევრ საინტერესო და სასიამოვნო სიახლეს შეიტყობთ მსოფლიოში გაფანტულ საბავშვო მუზეუმებსა თუ ატრაქციონებზე,

წინ მოულოდნელად საინტერესო შეხვედრები გელოდებათ, ოღონდ ამისათვის აუცილებლად უნდა გამოინეროთ გაზეთი "ახალი განთიადი"!

მაშ ასე, მობრძანდით თლაკ, ბევრ საინტერესო და სასიამოვნო სიახლეს შეიტყობთ

რედაქციაში! გაიფორმეთ ხელმოწერა, დატოვეთ თქვენთვის საინტერესო შეკითხვები და უახლოეს ნომერში მიიღებთ პასუხს.

ომარ კელაპტრიშვილი:

„ამ ჯიუტნაში რა მომყოლოვს, ჯვაც კი ვლოცულობთ მიდიერებს.“

კავთისხევში ცნობილი ქართველი ხელოვანის, უბადლო მუსიკოს-შემსრულებლის, სალამურის დიდოსტატის ომარ კელაპტრიშვილის სახელობის სახლ-მუზეუმი და ახლა უკვე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი თავისი არსებობის თხუთმეტწლიან ისტორიას ითვლის...

2003 წლის ოქტომბერში ომარ კელაპტრიშვილის სახლში, რომელიც გამოირჩევა მდებარეობით, ქართლური სახლისათვის დამახასიათებელი არქიტექტურით, ცნობილია ხელოვანთა თავგადასავლებითა და საინტერესო წარსულით, ოფიციალურად გაიხსნა სახლ-მუზეუმი.

იმ დღიდან მოყოლებული ამ კულტურულ კერას სტუმარი არ მოჰკლებია, აქ იმართება ფოლკლორული ღონისძიებები, ლიტერატურული საღამოები, ეწყობა შეხვედრები მწერლებთან და პოეტებთან, ქართული კულტურის მოღვაწეებთან, კინოსა და თეატრის წარმომადგენლებთან. მუზეუმი ემსახურება ხალხური შემოქმედების დამკვიდრება-აღორძინებას, ფოლკლორის პოპულარიზაციას და განვითარებას...

მუზეუმის იუბილეზე უამრავი სტუმარი მოვიდა კავთისხევში. აქ იყვნენ დედაქალაქიდან მოწვეული ხელოვანები, ქართული ფოლკლორის ცნობილი სახეები, ლიტერატურისა და კულტურის გამორჩეული წარმომადგენლები, ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი მუშაკები, კავთისხევის საჯარო სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები, სოფლის წარმომადგენლები. საზეიმო ნაწილის დაწყებამდე სტუმრებმა საგულდაგულოდ დაათვალიერეს მუზეუმში განთავსებული კულტურული მემკვიდრეობა...

— მუზეუმის მე-2 სართულზე განთავსებული უმდიდრესი ექსპოზიცია ვიზიტორებს საშუალებას აძლევს დაათვალიერონ უნიკალური ფოტო-მასალა, მემუარული ნივთები, ფერწერული ტილოები, საჩუქრები უცხოეთიდან, აგრეთვე სუვენირები, რომლებსაც ომარ კელაპტრიშვილს საჩუქრად აძლევდნენ გასტროლების დროს უცხოელი მუსიკოსები, რეჟისორები, მსახიობები. მუზეუმში დაცულია მუსიკოსის ორი ფორტეპიანო, საკონცერტო ჩოხები, კოსტიუმები და უძვირფასესი არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული მასალა, — საუბრობს ხელოვანის მეუღლე, ქალბატონი ციმი კელაპტრიშვილი, — მინდა ჩვენმა საზოგადოებამ იცოდეს, რომ ვმუშაობთ წიგნზე, რომელიც ეძღვნება ომარ კელაპტრიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. სწორედ ამიტომ შევაგროვეთ დიდძალი მასალა, შევკრიბეთ მუსიკოსის ხელნაწერები, რომელსაც თავად ომარ კელაპტრიშვილმა პირობითად "დროის ჩანაწერები" უწოდა, აქ თავმოყრილია ომარ კელაპტრიშვილის დღემდე უცნობი ლექსები და ფოტოები, ჟურნალ-გაზეთები, რომელშიც გამოქვეყნებულია მუსიკოს-შემსრულებლის საგასტროლო მოგზაურობა და თავგადასავალი.

ემოციების გარეშე ვერ წაიკითხავთ ხელოვანის არქივში დაცულ პატარ-პატარა ჩანაწერებს, რომელსაც პირველად გაეცნობა მკითხველი - "ადამიანი არ არის დაზღვეული შეცდომებისაგან, არამც და არამც არ უნდა იფიქრო, რომ შეცდომას არ უშვებ და ყველაფერს თანმიმდევრულად ახორციელებ, თუ ვინმემ შეცდომაზე მიგითითა, თანაც სამართლიანად, არ შეიძლება ჩათვალო მტრად, პირიქით, უნდა გაგიხარდეს და შეიყვარო იგი"... "ხალხური საკრავების სიყვარული კავთისხევმა ჩამინერგა, ბავშვობიდან მოყოლებული ჩემი სოფლის სიყვარულის გრძნობა დღემდე არ გამნელებია, პირიქით, მისი თილისმით დავდივარ მსოფლიოს გზებზე და ჩემი განუყრელი სალამურით ვეალერსები დიდგორს და მისი კალთებიდან გადმომდინარე პატარა მდინარე "კავთურას", რომლის პირას ხშირად ვატარებდი დროს, ვხატავდი ნაირფერ ფიგურებს და ჩემთვის ვთხზავდი" ... "ამ ქვეყანაში რა მომკლავს, ქვაც კი ალერსით მიყურებს"... "დღეს მე ჩემს ნიადაგზე ვდგევარ და ამ ნიადაგის დამეწყრის არ მეშინია, რადგან ჩემი ეროვნული ფესვები მიმაგრებს სხეულს. ხელთ ჩემი ჯიშიანი მოდგმის სულიერი წყაროს სათავე ფანდური, ჩონგური და სალამური მიპყრია. დროჟამმა ხელი დარია, ბოლო მოუღო ყველას და ყველაფერს, მოისრა და გაქრა მრავალი ერი, მსოფლიო ისტორიის ფონზე ცრემლით იკითხება ქართველთა გზაც, ამ უკიდეგანო შორეთიდან მოდის და მოსტირის თავის წუთისოფელს ფიზიკურად ძლივს გადარჩენილი საქართველო. ვინ იცის, რამდენი ხალხური საკრავ-ინსტრუმენტი ინაცვალა მტერმა, მაგრამ რაც დაგვრჩა, ძალიან გვჭირდება, მჯერა, რომ მომავალი თაობაც იამაყებს მისით"...

საიუბილეო ღონისძიებაზე გულშიჩამწვდომი და სიყვარულით აღსავსე მოგონებებით გამოვიდა ქართული კულტურისა და ხელოვნების ორი თვალსაჩინო წარმომადგენელი ანზორ ერქომაიშვილი და ფრიდონ სულაბერიძე, მათი გამოსვლები და მოგონებები მუზეუმში უდავოდ საპატიო ადგილს დაიკავებს.

✦ ანზორ ერქომაიშვილი: მუდამ მომიხარია კავთისხევში, ჩემთვის აქ ყოფნა უდიდესი ბედნიერებაა. ეს სახლი, ახლა უკვე სახლ-მუზეუმი რელიქვიაა... არადა, როგორ მაკლია ამ სახლის განუმეორებელი მასპინძელი, უერთგულესი ძმა და მეგობარი, ჩემი ომარ კელაპტრიშვილი, რომლის წარმატებებს მოვსწრებივარ და უდიდესი ნეტარება განმიცდია... მინახავს მისი საოცარი გამოსვლები მსოფლიოს უდიდეს საკონცერტო დარბაზებში, სადაც ფეხზე ამდგარი მაყურებელი დიდი ხნის განმავლობაში სცენიდან არ უშვებდა ომარს, ოვაციას უმართავდა ვირტუოზ შემსრულებელს, მან პირველმა აამღერა საქართველოში მივიწყებული, მწყემსის უბრალო საკრავი და მერე მისი სიყვარული მთელ ქვეყანას გადასდო... ომარის დაკარგვით ანსამბლ "რუსთავს" საყრდენი ბოძი გამოეცალა, იგი მღეროდა ანსამბლში, მაგრამ სალამურზე უკრავდა ფანტასტიურად, ვირტუოზულად, ტრიუმფალურად, გენიალურად (ეს ჩამონათვალი ეკუთვნის უცხოელ შემფასებლებს), ქართულად კი, ვიტყვი უბადლოდ... ის გახლდათ პოეზიის უდიდესი ტრფიალი, ამავე დროს, თავადაც შესანიშნავ ლექსებს წერდა, გასტროლების დროს, ხანგრძლივი, დამქანცველი მოგზაურობისას ბატონი ომარი გასაოცარი ხალისით და თან სწრაფად თხზავდა ანსამბლის თითქმის ყველა წევრზე ფუნაგორიებს, სახალისო სხარტულებს და ამით ყველას გვამხნევებდა... ამ კუთხით განსაკუთრებით "სწყალობდა" ჰამლეტ გონაშვილს, რომელიც რატომღაც ხშირად აგვიანებდა კონცერტებზე, ომარი ამ ფაქტს ეხმაურებოდა ლექსებით, რომელთა დავიწყება შეუძლებელია და სწორედ ამის გამო მას "ავტობუსის პოეზია" შევარქვით...

მახსოვს, ერთხელ, საფრანგეთში გასტროლებისას, კერძოდ კი, პარიზიდან ნიცაში გამგზავრებისას ავტობუსზე ისევ დააგვიანა ჰამლეტმა, ყველანი ვნერვიულობთ, ვბრაზობთ, რადგან დრო ცოტაა დარჩენილი, ბოლოს კი, ჩვეული სიდინჯით, აუჩქარებლად გამოგვეცხადა ჩვენი ჰამლეტი ... რა გააჩერებდა ომარ კელაპტრიშვილს და ავტობუსში ამოსვლისთანავე "გამოუცხო" ლექსი: "თვით კარუზოს და ტიტო გობის, შეშურდებოდა შენი ხმის ტემბრი და სილამაზე, კაცო-კაცურო ტკბილმოუბარო, სიტყვა-ძვირო და გასაოცარო, ახ, თვითმფრინავზე დამაწია და — ამბობს ჰამლეტი არა გვიანი, ვით ჭიანჭველამ თავის ძმობილსა, ისე ჩაუგდეს თოკი ტიალი და ამის შემდეგ ამის ჩამდენი, ჰამლეტი მოსვლას კვლავ აგვიანებს, ახლა კი, მივხვდი, თუ ასე ტკბილად ის რატომ მღერის "დაიგვიანეს"...

ომარ კელაპტრიშვილის უზადო აკომპანიმენტი გონაშვილის განუმეორებელ ტემბრს, კიდევ უფრო "აფერადებდა" და მომაჯადოებელს ხდიდა. ამ ორი ვირტუოზის დუეტი, რომელიც წლების განმავლობაში ამშვენებდა ანსამბლ "რუსთავს", კაშკაშა ნიმუშად დარჩება ქართული ფოლკლორის ისტორიაში, ვინაიდან, სიმღერა — ერის სულიერი სარკეა, ეს არის ხმოვანი ქრონკა, რომელშიც აღბეჭდილია ერის მრავალსაუკუნოვანი

დასასრული გვ-7.

ომარ კელაპტრიშვილი:

„ვმ ჯვეოვნვში რა მომკლოვვს, ჯვაც ყი ვლოერსვით მიყურებს.“

დასასრული.

განვითარების ისტორიული პროცესი, ამიტომ არაფერი ინახავს ისე კარგად მამაპაპურ ტრადიციებსა და ქართულ სულს, როგორც სიმღერა, რომელიც მარადიულია, როცა იგი თაობებს მიჰყვება. ხოლო კვდება მაშინ, თუ მას ახალგაზრდობა ივიწყებს.

თუ გინდა, რომ ქართული შეინახო, იგი ბავშვებს უნდა ასწავლო, თუ ბავშვი პატარაობიდანვე შეისწავლის და შეიყვარებს ხალხურ სიმღერას, მერე იგი სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვება, ამით ძველი ტრადიცია გადარჩება...

სწორედ ამ მიზანს ისახავდა გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების ბოლოს ჩვენს მიერ წამოწყებული ნოვაცია.

დიახ, 1976 წელს, თბილისში, მაშინდელ "არტოს ბაღში" ჩამოვაყალიბეთ ბიჭუნათა ანსამბლი "მართვე", აქვე დაარსდა ხალხურ საკრავთა ხუთწლიანი სკოლა-სტუდია და ბავშვთა ხალხურ საკრავთა ორკესტრი, რომელსაც ვუძღვებოდით მე და ომარი.

ბევრს ემახსოვრება ალბათ, მოზრდილმა მომღერლებმა სულ მოკლე დროში მოიპოვეს პოპულარობა და ტრიუმფით მოიარეს მსოფლიო, მათ ყოველ გამოსვლას ჰქონდა უდიდესი შეფასება, დადებითი გამოხმაურება, დიდი მოწონება და სიყვარული "

✦ ფრიდონ სულაბერიძე: - სიხარული და სევდა ერთდროულად მეუფლება, როდესაც კავთისხევში მოვდივარ, აქ სტუმრობისას ტკივილი მიახლდება, რადგან ვიცი, აქ აღარ დამხვდება ჩემი უსაყვარლესი ძმა და მეგობარი ომარ კელაპტრიშვილი. ის გახლდათ ქართულ ფოლკლორზე ფანატიკურად შეყვარებული და უდიდესი პატრიოტი თავის ქვეყნის... ომარ კელაპტრიშვილისთვის ტიტული – ვირტუოზი ცოტაც კია, ის იყო არაჩვეულებრივი ადამიანი, როგორც კაცი, პირდაპირი და შეუვალი, მან ყველაფერს თავისი ნიჭიერებით მიაღწია, მისი გამოსვლა ტრიუმფი იყო, რა დამავიწყებს, ლეგენდარული "რუსთავის" კონცერტი ყოველთვის იხსნებოდა ომარ კელაპტრიშვილის გამოსვლით, რომელსაც ახლდა დაუსრულებელი აპლოდისმენტები, მსგავსი შემსრულებელი ხალხურ-საკრავიერ ხელოვნებაში საქართველოს ჯერ არ ჰყოლია, ვინ მოთვლის, რამდენჯერ მინახავს კონცერტის შემდეგ მასთან მისული გაოცებული მაყურებელი, რომელიც აღტაცებას და გაკვირვებას ვერ მალავდა, ხელებს უკოცნიდა და ეფერებოდა, ფეხზე ამდგარი დარბაზი ხმამაღალ ოვაციებს გამოხატავდა... არასოდეს დამავიწყდება მისი ერთი გამოსვლა, როდესაც მაყურებელი სცენიდან არ უშვებდა, მერე კი, ყველასთვის მოულოდნელად ომარმა დუდუკი ამოიღო და ქართული მელოდია შეასრულა, დარბაზში ტაში არ ცხრებოდა... ბოლოს, ომართან ერთი ახალგაზრდა კაცი მივიდა, სიყვარულით გადაეხვია და უთხრა: "ბატონო ომარ, თქვენს დუდუკს ეგ თასმა ჩამოხსენით, ეს ოქროს ჯაჭვი ჩაუბით, რადგან თქვენი ხელოვნება მხოლოდ ამას იმსახურებსო..." საიუბილეო ღონისძიება კიდევ უფრო დაუვიწყარი გახადა ბიჭუნათა ანსამბლის, "მართვეს" გამოსვლამ, რომელსაც ანსამბლის უფროსი თაობის წარმომადგენელი, ნიჭიერი ლოტბარი ვარლამ ქუტიძე დირიჟორობდა. აღსანიშნავია, რომ თაობათა ცვლა გრძელდება. სხვათა შორის, სწორედ "მართვემ" დაასრულა საიუბილეო შეხვედრა სიცოცხლის სადიდებელი ჰიმნით, ლეგენდარული "მრავალჟამიერით"...

იუბილეს სტუმრობდა ომარ კელაპტრიშვილის დაარსებული ფოლკლორული ანსამბლი "კელაპტარი". დღეს უკვე ყველასათვის კარგად ცნობილმა მომღერლებმა ანა ბაჯიაშვილმა, ლია ხუნწარიამ და დავით ლალუაშვილმა რამდენიმე სიმღერა შეასრულეს და აპლოდისმენტები დაიმსახურეს.

საინტერესო იყო კავთისხევის კულტურის სახლთან არსებული ფოლკლორული ჯგუფის (ხელმძღვანელი ნანა შალიტაური) წევრების, პატარა მედოლეების: ძმების ლუკა და იოანე ხიზანიშვილების, ნიკა მოდრეკილაძის, ნიკა ზავრადაშვილის და ნიკა ქსოვრელის გამოსვლა...

შეხვედრის ნამდვილი სიურპრიზი იყო ომარ კელაპტრიშვილის ძმის შვილიშვილების და გერისო კელაპტრიშვილის შვილიშვილების დაძმა ლიკა და გიორგი კელაპტრიშვილების (მონაწილეობენ პროექტში "მხოლოდ ქართული") მიერ შესრულებული საესტრადო სიმღერები.

მუზეუმის იუბილისადმი მიძღვნილ შეხვედრაზე კავთისხეველებსა და მოწვეულ სტუმრებს, კონცერტში მონაწილე მუსიკოს-შემსრულებლებს მიესალმნენ კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ლეონიძე და მისი მოადგილე ზურაბ ჯავახიშვილი... ღონისძიებას ესწრებოდნენ: კასპის მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი, მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტის კულტურის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების დირექტორი გივი მელაძე.

დაბოლოს, მუზეუმის დირექტორმა ომარ კელაპტრიშვილმა (ხელოვანის ვაჟი) და მისმა ბიძამ, ცნობილმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ სოლომონ თეზელიშვილმა უღრმესი მადლობა გადაუხადეს სტუმრებს და სამომავლოდ მორიგი ღონისძიება დააანონსეს.

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.

პირველობა მინი ფეხბურთში

მიმდინარე წლის 24 სექტემბრიდან 8 ოქტომბრის ჩათვლით "ჰაიდელბერგცემენტის" კასპის ქარხნის მიკროსტადიონზე კიდევ ერთი საინტერესო და აზარტული საფეხბურთო სანახაობის მოწმე გახდა სპორტის ამ სახეობის კასპელი გულშემატკივარი.

– კასპის მუნიციპალიტეტის 2018 წლის პირველობა მინი ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდა 16 გუნდი ორგანიზებულად და გეგმა-განრიგის მიხედვით წარიმართა, საუბრობს მუ-

ნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი შოთა გოგიაშვილი, – საამისოდ, რა თქმა უნდა, თადარიგი წინასწარ დავიჭირეთ, პირველობის დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი, რომელმაც მაღალ დონეზე უზრუნველყო თითოეული ასპარეზობის მიმდინარეობის საკითხი.

რაიონის ჩემპიონები ზედიზედ მესამედ გახდნენ "ქეჩარუხის" გუნდის ფეხბურთელები. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ფინალში მათ დაამარცხეს "ნატბეურის" გუნდის მოთამაშეები.

მესამე ადგილისათვის ბრძოლაში ენერგია არ დაუზოგავს "ქარწისის" გუნდს, რომელმაც ყველაფერი იღონა და სძლია "ამურის" გუნდს. რასაკვირველია, საპრიზო ადგილებზე გასულ გუნდებს გადაეცათ შესაბამისი ხარისხის მედლები და სიგელები, აგრეთვე ფულადი პრემიები.

პირველ ადგილზე გასული გუნდისათვის დაწესებული იყო 500 ლარი, მეორე ადგილზე

გასული გუნდისათვის – 300 ლარი, ხოლო მესამე ადგილზე გასული გუნდისათვის – 200 ლარი.

გარდა ამისა, დაწესებული იყო პრიზები: საუკეთესო მეკარე, საუკეთესო მცველი, საუკეთესო ფეხბურთელი, ბომბარდირი და საუკეთესო მწვრთნელი.

საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით საუკეთესო მეკარედ აღიარეს "ქეჩარუხის" ფეხბურთელთა გუნდის მეკარე დავით პარკაძე, საუკეთესო მცველის წოდება მიენიჭა "ნატბეურას" გუნდის ფეხბურთელს ბექა გზირიშვილს, საუკეთესო ფეხბურთელად გამოცხადდა გიორგი დაბრუნდაშვილი, პირველობის ბომბარდირის პრიზი მიიღო "ქეჩარუხელმა" ტარიელ ღვინიაშვილმა. საუკეთესო მწვრთნელის წოდება დაიმსახურა "ქეჩარუხის" გუნდის დამრიგებელმა ლაშა სამნიაშვილმა.

საგულისხმო გახლავთ ის ფაქტი, რომ მინი ფეხბურთში 2018 წლის პირველობის ხარჯები სპორტის დაწესებულებების გაერთიანებამ გაიღო.

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

ჩვენი მონაგვარი

ტრადიციულად, მოგაწვდით სპორტულ ინფორმაციას სექტემბერ-ოქტომბრის შუალედურ მონაკვეთში კასპელი სპორტსმენების სხვადასხვა შეჯიბრებაში გამოსვლების თაობაზე;

✦ ქართული ჭიდაობა: 23 სექტემბერი, სოფ. კავთისხევი – რაიონის მოსწავლეთა ღია პირველობა მიეძღვნა ახლო წარსულში სახელოვანი მოჭიდავის, მწვრთნელისა და მსაჯის, ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონის – ავთანდილ შეშაბერიძის (1947-2000) ხსოვნას. მასში, კავთისხეველთა გარდა, მონაწილეობდნენ მოზარდები მეტეხიდან, ნიაბიდან, თელიანიდან, იგოეთიდან, ლამისყანიდან, ზემო ხანდაკიდან, ხოვლიდან. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს ნიაბელმა ალეკო ხიზამბარელმა, ზემოხანდაკელმა ბექა ქამხაძემ, თელიანელმა ოთარ გოდერძიშვილმა, ზემოხანდაკელმა ვახტანგ გოგიაშვილმა, სასირეთელმა ლევან მამულაშვილმა, ხოვლელმა ნუგზარ კაფიგრანოვმა, მეტეხელმა ვალერი მღებრიშვილმა, დოესელმა ჯაბა ახალკაცმა და კავთისხეველმა ლუკა შეშაბერიძემ

შეჯიბრების მთავარი მსაჯი გახლდათ კავთისხეველი ვეტერანი მოჭიდავე, ამჟამად სპორტკომპლექსის მწვრთნელი ჰამლეტ წიკლაური (ოქტომბერში მას დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა).

✦ თავისუფალი ჭიდაობა: 29 სექტემბერი, ქ. კასპი – საჭიდაო დარბაზში გამართული ბავშვთა ტურნირი თავისებური შემოწმება იყო სხვადასხვა საჭიდაო სკოლის გამოცდილი და კვალიფიციური მწვრთნელების მუშაობისა, ვინც ნორჩ სპორტსმენებთან საქმიანობს. მაგალითად, კასპში გუნდები მოავლინეს: ქ. გორის ორმა სკოლამ, რომელთაგან ერთს საყოველთაოდ ცნობილი მწვრთნელი ნუგზარ სხირელი თავკაცობს, ხოლო მეორეს – სახელოვანი მოჭიდავე, ოლიმპიადების პრიზიორი გიორგი გოგშელიძე, თბილისიდან ჩამოვიდა ლერი ხაბელოვის ჭიდაობის სკოლის ნაკრები. ხაშურელ და გარდაბნელ (გამარჯვება) მოზარდებს საჭიდაო წრეში აგულიანებდნენ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები ვახტანგ კვინიკაძე და ნუგზარ გაჩეჩილაძე, რომელთაც არაერთი ცნობილი მოჭიდავე დაუოსტატებიათ. ქარელელ ბიჭებს მეთავეობდა ბავშვთა ჭიდაობის ამაგდარი გია ბერუაშვილი... ესენი ის "ჯადოქარი ოსტატები" არიან, ვინც 10-12 წლის ყმაწვილებში ეძიებენ მომავალ ოლიმპიელებს!

✦ კალათბურთი: 28 სექტემბერი, ქ. კასპი – სპორტკომპლექსის ჭაბუკმა კალათბურთელებმა, რომლებსაც მიხეილ მაკეივიჩი და დავით ჯინიყაშვილი ავარჯიშებენ, ამხანაგური შეხვედრა გამართეს ქ. გორის კერძო საკალათბურთო სკოლის (მწვრთნელი ბექა ტატალაშვილი) თანატოლებთან, ორივე შეხვედრაში კასპელებმა გაიმარჯვეს.

✦ ჭიდაობა ძიუდო: 7 ოქტომბერი, ქ. გურჯაანი – კახეთის ამ ქალაქის ტრადიციულ ტურნირში (უკვე მეოცედ ჩატარდა!) ჩვენი აღსაზრდელებიდან ყველაზე უკეთ წარმოჩნდა თორნიკე გორჯოლაძე (პირადი მწვრთნელი ბერდია ბახტაძე), რომელიც ახლა სოფ. ქვემო ჭალის საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეა. მან ხუთივე მეტოქეს "წმინდად" (იპონებით) მოუგო და დამსახურებულად გახდა ტურნირის ჩემპიონი, გადაეცა თასი და დიპლომი,რომელსაც ხელს აწერს გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერი არჩილ ხანდამაშვილი.

✦ ჭიდაობა სამბო: 7 ოქტომბერი, ქ. დუშეთი – ვეტერანი მოჭიდავის, იოსებ როსტიაშვილის, 60 წლისთავისადმი მიძღვნილ ნორჩ სამბისტთა ტურნირში წარმატებით გამოვიდნენ მეტეხელი ამაგდარი მწვრთნელის – ნუგზარ მამულაშვილის შეგირდები. დასტურად იმის თქმაც კმარა, რომ მისი გუნდის 12 წევრიდან ცხრამ მედალი წამოიღო არაგვისპირული ქალაქიდან: სამმა – ჩემპიონისა, ორმა მეორე და ოთხმა კი მესამე პრიზიორისა.

✦ თავისუფალი ჭიდაობა: 14 ოქტომბერი, ქ. ონი – საყოველთაოდ ცნობილი რაჭული სკოლის ბევრმა მოჭიდავემ მსოფლიო მასშტაბით ასახელა ქართული სპორტი. ერთი მათგანია დავით გობეჯიშვილი – ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (ქ. სეული, 1988) და პრიზიორი (ქ. ბარსელონა, 1992)... კასპელი ჭაბუკი მოჭიდავე, დანიელ მარქარაშვილი, რამდენჯერმე მონაწილეობდა მისი სახელობის ტრადიციულ ტურნირებში, ჩემპიონობაც მოუპოვებია. აი, ახლაც, თავის წონაში ფავორიტის რანგში გამოდიოდა, ნახევარფინალურ შეხვედრაში მეტოქეს უგებდა კიდეც, მაგრამ უპირატესობა ბოლომდე ვერ შეინარჩუნა და, საბოლოოდ, მე-3 ადგილზე გავიდა. ვისთვის როგორ, მისთვის კი ასეთი შედეგი წარმატებად ვერ ჩაითვლება, რადგანაც ჭაბუკთა შორის საქართველოს ჩემპიონს ევროპა-მსოფლიო პირველობებზე უჭიდავია ქვეყნის ნაკრების სახელით და, ამდენად, მისგან უკეთეს გამოსვლებს მოელიან პირადი მწვრთნელებიცა და გულშემატკივრებიც. სულ მალე მას საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენა მართებს საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში.

პაპინაშვილები – „ბრინჯაოს ძმები„

შუა ოქტომბერში შორეული ბაჰამის კუნძულების დედაქალაქ ნასაუში მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართა ახალგაზრდა ძიუდოისტებს შორის.

საქართველოს ნაკრების სახელით მოასპარეზე ჯაბა პაპინაშვილმა, რომელსაც 20 წელი წლევანდელ აპრილში შეუსრულდა, გუნდს პირველი ბრინჯაოს მედალი მოუტანა.

შეგახსენებთ, რომ ანალოგიური შედეგი დააფიქსირა უფროსმა ძმამაც, 30 წლის ამირანმა, ერთი თვით ადრე – აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში, უფროსი ასაკის ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე.

ვულოცავთ ვაჟიშვილების წარმატებას მათ მამას, კასპის სპორტკომპლექსის მწვრთნელს, ჯამბულ პაპინაშვილს.

საგულისხმოა, რომ ჯამბულ პაპინაშვილი ყოფილი მოჭიდავეა. ასე რომ ერთგვარ სპორტულ დინასტიასთან გვაქვს საქმე.

ქართული ძიუდოს სპეციალისტების ვარაუდით უახლოეს წლებში უმცროსი ძმა ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში უფროსს ჩაანაცვლებს.

ამაგდარი მამულიშვილი ივანე ბოჭორიძე – 100

საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებულ მოღვაწეს, ჩვენი რაიონის სახელოვან ადამიანთა წარმომადგენელს ივანე ბოჭორიძეს 30 ოქტომბერს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდებოდა.

ღვაწლმოსილი მამულიშვილი მთელი თავისი შრომითი მოღვაწეობით მთლიანად სპორტულ სამყაროსთან იყო დაკავშირებული. იგი სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა: თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტს, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების: "შრომითი რეზერვების", "განთიადისა" და "კოლმეურნეს" ცენტრალურ საბჭოებს, საქართველოს პროფკავშირების სპორტულ განყოფილებას, ძალოსნობისა და წყალში მხტომელთა რესპუბლიკურ ფედერაციებს, იყო ახალგაზრდული და ხალხთა სპარტაკიადების შტაბების ხელმძღვანელი, თავკაცობდა სპორტულ დელეგაციებს.

ფასდაუდებელია ივანე ბოჭორიძის ღვაწლი საქართველოში სპორტნაგებობათა ქსელის მშენებლობაში. მისი უშუალო თაოსნობითა და ხელმძღვანელობით საქართველოში აშენდა 1958 წელს სოფელ გლდანის, ასევე: საგარეჯოს, მცხეთის, ონის და კასპის დახურული ტიპის საჭიდაო დარბაზები.

ივანე ბოჭორიძის სახელს უკავშირდება ქ. კასპში ჭიდაობის სპეციალიზებული სკოლის დაარსება, სასტუმროსა და ახალი ჭიდაობის დარბაზით. აღსანიშნავია ისიც, რომ მშობლიურ სოფელ მეტეხში მისი თაოსნობით აშენდა დახურული ტიპის საჭიდაო დარბაზი. ის ფაქტი, რომ ამ სოფელში მრავალი სახელოვანი მოჭიდავე აღიზარდა და ამჟამადაც მომავალი ჩემპიონები სისტემატურად იმაღლებენ სპორტულ ოსტატობას, ივანე ბოჭორიძის ღვაწლის შედეგია.

ბატონ ივანეს სამშობლოს წინაშე გაწეული დამსახურებისათვის მიღებული ჰქონდა მრავალი სამთავრობო ჯილდო და მედალი. იყო "საპატიო ნიშნის" ორი ორდენის კავალერი, აგრეთვე დაჯილდოებული იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ჩემი სპორტული და შემდგომ სამსახურებრივი საქმიანობის პერიოდში მქონდა ბედნიერება, ახლოს გავცნობოდი ბატონ ივანეს, იგი ჩემი უფროსი მეგობარი იყო და დღევანდელი გადასახედიდან ვაცნობიერებ მის პიროვნებას, როგორც დიდად ერუდირებულ, განათლებულ და თავის სამშობლოზე უაღრესად შეყვარებულ ადამიანს. სიამოვნებით ვუერთდები სოფელ მეტეხის მაცხოვრებელთა სიყვარულს, სოფლის საამაყო შვილის მიმართ მადლიერების ნიშნად ყურადღებისა და დაფასებისათვის. ივანე ბოჭორიძის სახელის უკვდავსაყოფად სპორტკომპლექსის დირექციამ გადაწყვიტა, ყოველ წელს სოფ. მეტეხში მოაწყოს ტრადიციული ტურნირი ქართულ ჭიდაობაში.

გ. ნიპარიშვილი,
სპორტკომპლექსის დირექტორი.

გოჩა თათრიშვილის სახელობის მემორიალური ტურნირი



კასპელი გოჩა თათრიშვილი (1962-1993) გმირულად დაეცა 1993 წლის 27 სექტემბერს აფხაზეთში, ქ. სოხუმში, მინისტრთა საბჭოს დაცვისას, ეროვნული გმირის – ჟიული შარტავას – მამაცი თანამებრძოლების გვერდით... 2017 წლის 17 ოქტომბერს იგი მხედრული დიდებით დაიკრძალა ქ. თბილისში, ვაშლიჯვრის ძმათა სასაფლაოზე. იმავე წლის დეკემბერში კასპის სპორტკომპლექსის საკალათბურთო დარბაზში ჩატარდა დაღუპული ვაჟკაცის სახელობის პირველი მემორიალური ტურნირი.

და, აი, წლევანდელ 19-20 ოქტომბერს (მისი დაბადების თარიღთან დაკავშირებით) გაიმართა 2-დღიანი შეჯიბრება თბილისის, კასპის, ხაშურისა და გორის გუნდების მონაწილეობით (ადგილები სწორედ ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა).

"გოჩა თათრიშვილის სახელობის ტურნირი – 2018"-ის გამარჯვებულია "თსუ"-ს 18-წლამდელთა გუნდი (მთავარი მწვრთნელია საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ნუგზარ ჭეიშვილი).

შარშანდელმა გამარჯვებულმა "კასპმა" ამჯერად მე-2 ადგილი დაიკავა (მწვრთნელი დავით ჯინიყაშვილი).

სპორტკომპლექსის დირექციის მეოხებით ტურნირი გაისიდან საერთაშორისო მასშტაბის გახდება.

გინდათ, გაეცნოთ საქმიან და მნიშვნელოვან ცვლილებებს ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში? გამოიწერეთ „ახალი განთიადი„

გაეროს ბავშვთა ფონდ UNISEF-ის ტრენინგი

16 ოქტომბერს კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გაეროს ბავშვთა ფონდ UNISEFის საქართველოს წარმომადგენლებმა ჩაატარეს ტრენინგი, სადაც განიხილეს ორი მნიშვნელოვანი საკითხი. ისაუბრეს მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა MICS 2018-ის ირგვლივ.

20 სექტემბრიდან 20 დეკემბრამდე სტატისტიკის ეროვნული სამსახური ფონდთან ერთად აწარმოებს კვლევას ოჯახების, ბავშვების და ქალების მდგომარეობის შესასწავლად, ასევე 2-7 წლის ასაკის ბავშვების სისხლში ტყვიის შემცველობის დასადგენად. შეხვედრაზე ისაუბრეს აგრეთვე ბავშვთა უფლებების მონიტორინგის გაძლიერებაზე.

ტრენინგს ესწრებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს, საგანმანათლებლო რესურსცენტრის, საჯარო სკოლების, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების, სანიტარული სამსახურის წარმომადგენლები.

ახალი სკვერი სოფელ ზემო ხანდაკში

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ხანდაკში სკვერის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტი ითვალისწინებს არსებული ქვის ღობის აღდგენას, ეზოს მოპირკეთებას, სკამების დადგმას, ბაზალტის ბორდიურის და ღამის განათების მოწყობას.

სკვერში დაირგვება ნარგავები. ეზოში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული, ეროვნული გვარდიის კასპის ბატალიონის ყოფილი მეთაურის და კასპის მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებლის ტარიელ შარიფაშვილის ბიუსტია აღმართული. ბიუსტს გაუკეთდება მარმარილოს წარწერა. სამუშაოებს, რომლის ღირებულებაც 36 500 ლარია შპს "მშენკომპლექსი" ახორციელებს.

სკვერი ეწყობა სოფელ კოდისწყაროშიც, სადაც დიდი სამამულო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა მემორიალია.

ქალაქის ქუჩების კეთილმოწყობა გრძელდება

კასპში, ვარჯაანის დასახლებაში ჩოლოყაშვილის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ზაზა მარიდაშვილმა დაათვალიერა.

ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "მილენიუმ ბილდერ გრუპი" ამჟამად ტრასის აღდგენასა და რკინა-ბეტონის კივუეტების ჩალაგებაზე მუშაობს. პარალელურად სს 'სილქნეტის" ბოძების გადატანა მიმდინარეობს, რათა გზის რეაბილიტაციას ხელი არ შეეშალოს.

ჩოლოყაშვილის ქუჩა, რომლის სიგრძე 737 გრძივი მეტრია, დასახლების სხვა ქუჩების შემაერთებელია. მის კეთილმოწყობაზე 510 905 ლარი იხარჯება, რომელიც მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

მუნიციპალიტეტი ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებას, მათ შორის ქუჩების რეაბილიტაციას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს, ქალაქში გრიშაშვილის ქუჩის 500-მეტრიანი გზის მონაკვეთის (ე.წ. "მუხის გზა") ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოებია დაწყებული - აღნიშნა ზაზა მარიდაშვილმა.

საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი„ კასპში

არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმმა, საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირმა "ორქისი" მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე ორი ძირითადი თემა განიხილეს: ზოგიერთი მძიმე მეტალის ტოქსიკურობა და ადამიანების ჯანმრთელობა - ისაუბრა ქიმიის მეცნიერებათა დოქტორმა, გარემოს მონიტორინგის ექსპერტმა ნუგზარ ბუაჩიძემ, ხოლო სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა დოქტორმა, გენდერული საკითხის ექსპერტმა ირინე სახელაშვილმა კი ქალთა თანამონაწილეობა მუნიციპალური ნარჩენების მართვის საკითხში.

შეხვედრის დასასრულს დისკუსია გაიმართა.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

აუხსნელი, უცნაური, მოულოდნელი

გამოგვეხმაურეთ, დაგვიკავშირდით

ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში მრავალი უცნაური, მოულოდნელი თუ აუხსნელი მოვლენის მოწმე ხდება. უმეტეს შემთხვევაში არ ვიცით, ვის გავუზიაროთ ნანახი, ალბათ იმის შიშით, რომ შეიძლება არასწორად გაგვიგონ.

თუ ყოფილხართ მომსწრე აუხსნელი, უცნაური, შეუცნობელი მოვლენისა შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ამ ფაქტის ამსახველი ვიდეო, ფოტო მასალა და გაგვიმხილოთ საკუთარი ემოცია, შთაბეჭდილება.

მისი გაცნობისა და შესწავლის შემდეგ, თუ იგი საინტერესო იქნება ფართო აუდიტორიისათვის, მკითხველისათვის, გამოქვეყნდება გაზეთში რუბრიკით „შეუცნობელი." საჭიროების შემთხვევაში შეგვიძლია თქვენს მიერ შემოთავაზებული წერილი გადავცეთ ჟურნალ „ფენომენს„ და შესაბამისად ავტორი გაეცნოს ექსპერტთა შეფასებებსა თუ კომენტარებს. ჩვენ თქვენთან ერთად შევეცდებით გავარკვიოთ ტყუილ-მართალი. კითხვები ხომ იმისთვის არსებობს რომ პასუხის მოძიებისას გავიგოთ მეტი. ყველა მინიშნების უკან შეიძლება იმალებოდეს პასუხი ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე, მოვლენებზე.

გვიყვარს ჩვენი მკითხველი!

გილოცავთ!

ლარსა ეულ ყოლეგას, შესანიშნავ ჰოეცსა და ცნობილ ჰუმანიცისცს, ჩვენს უერთგულეს მეგობარს, ქალბატონ ნორა ედიშერაშვილს გულითადად ვულოცავთ დაბადების დღეს... ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, წარმატებას, სიხარულს საყვარელ ოჯახთან ერთად.

გვნთავლელები.

ძეხყოთ ლრო

ბუჭმიკა – წელიწადის ძეხყოთ ლრო ელოდება თქვენ ვაძლიხძაყრებას. ჰოზრძანდით ბელაქცია-ში. ვაგვაცანით თქვენი ნაძყაძეგორები (წარმოადგინეთ ელექტრონული ვერსია) და ვაცანით �i ნაზოვადებას.

ხაქართველოს ჰედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი ჰრიფეკავშირის ყახჰის რაიონული ორგანიზაცია (თავმჯდომარე გიული ზიზაშვილი) საიუბილეო დაბადების დღეს ულოცავს ქვემო ხანდაყის საჯარო სკოლის ბუღალტერს ნარა მამულაშვილს. უსურვებს ჯანმრთელობას, ულევ ბედნიერებას საყვარელ ოჯახთან ერთად.

სხარ ყახჰის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ხანდაყის საჯარო სკოლის კოლექტივი საიუბილეო დაბადების დღეს ულოცავს ამავე სკოლის ბუღალტერს ნარა მამულაშვილს. უსურვებს ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლესა და წარმატებებს საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში.

შ.პ.ს. "ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას" ქასპის ცემენტის ქარხანა აცხადებს ვაკანსიებს

შ.პ.ს. "ჰაიდელბერგცემენტჯორჯიას" ყასპის ცემენტის ქარხანა აცხადებს ვაკანსიებს შემდეგ თანამდებობებზე:

1. საწყავი მანქანის მძღოლი;
2. გიეიფეიული ხიდული ამწის ოპერატორი;
3. თბომავლის ოპერატორის სტაჟორი;
4. ცისტერნიანი ავტომტვირთავის მძღოლი;

გთხოვთ, წარმოადგინოთ თქვენი ხელზიუმე ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტში 2018 წლის 7 ნოემბრის ჩათვლით შემდეგ მისამართზე:

ქ. ყასპი, ფარნავაზის ქ.№2.

E-mail:maia.Kaciashvili@heidelbergcement.ge

განცხადება

იაფად და განვადებით ვამზადებთ მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრებს, დამცავ ბადეებს.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ ტელ: 598527667 (პავლე ან ომარი).

შეგიძლიათ, მოგვაწოდოთ თქვენი შვილების, შვილიშვილების ორიგინალური ფოტოები, ნახატები, აზრები. ისინი გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში.

გვხლით ჩვენი მყითხველი!

კეხურა

"ფრთიანი ფრაზები"

ბავშვობაში ნათქვამი "ფრთიანი ფრაზები" დამსახურებულად იკავებენ ადგილს ოჯახურ "ოქროს ფონდში," თაობიდან თაობას გადაეცემიან და ყველა შინაურული თავყრილობის მთავარი სახალისო საამბობნი არიან. შეინახეთ თქვენი ბავშვობის საინტერესო წუთები ჩვენს რუბრიკაში "მაკნატუნა" და გახდით რუბრიკის სტუმარი.

ფოტო-მატიანე

,,ახალი გვნთავლი,, იძიებს ნაინტერესო ფოტოებს რაიონის ნაგზეთი ფოტო-მასალის შესაქმნელად. თხოვნით მივმართავთ თანამოაზრეებს - დადგეთ თქვენი ყველა ჩვენს მასალაში! გამოგვიგზავნეთ ნაინტერესო და ნახალი ფოტოები!

ბელა კობიაშვილი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა უსაყვარლესი მაზლისშვილი ნუგზარ გურასპაშვილი და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა ,,კოლორში,,

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ ყასპი სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76